

FEATURES OF CULTURE AND LIFE EXPRESSED IN ETHNOGRAPHIC TERMS (ACCORDING TO THE LATEST ETHNOGRAPHIC MATERIALS)

ეთნოგრაფიული ტერმინებით გადმოცემული ყოფით-კულტურული
მახასიათებლები
(უახლესი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

DAVID SHAVIANIDZE

Associate Professor, Department of History and Archaeology,
Akaki Tsereteli State University
136 Agmashenebeli St., Kutaisi, Georgia
+995599494770, david.shavianidze@atsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0002-0568-1226>

Abstract. Lechkhumi ethnographic terms, words and expressions, telling the story of the way of life, distinguished by their diversity, are an important source for studying the political, ethnic and everyday development of the nation, and the linguistic situation of the corresponding time, determined by the socio-cultural context.

We have selected the following Lechkhumi terms and expressions for analysis: **akoshialembuli** - used in the meaning of small; **antskoli**, **akhvankhva** - eaten at once; **bochkhoti**, **buzunia** - large, big; **gavataveb**, **getsatkhoneba**, **gvinihi** - an ugly broken part of something; **damzhavebuli** - in the meaning of winemaking; **zesandari**, **kagriti** - a swindler; **kiapi** - genus, origin; **loshkina** - a small sledge, a haulage rope for firewood; **melisarchi** (in Racha - **melakultaroba**, **melamelaoba**; similar to **buzis ulupa** in Imereti, and **kvavis sajabinaro** - in Samegrelo); **mietoleba** - to accompany, to go together; **mokanjuli**; **mosavarkhe** - a man who digs the grave/grave of the deceased; **ragadoba**, **saangelozo** - a family's offering in the name of a son of the family; **sazgvaro**, **satavse**, **sakhro** - a place for processing with an ox; **siris kudi**, **sirinozi**, **snakvi** - beheading; **sulipuri**, **pergasuli** - early spring; **zhgvantki**, **zhgholi** - a large, thick stick; **shavi kukhna**, **batons tskaro** ("the source of the master"), **batonebis gza locvaa** ("the path of the masters is prayer") **liliputebivit vart** ("we are like Lilliputians") - they say about a physically "deficient" person born as a result of mixing blood; **a man who is eaten with cheese and mchadi**.

We compared the existing ethnographic material on the mentioned words, expressions, and terms with the unconfirmed or already confirmed materials in the literature that we found in various regions of Georgia.

While researching different and similar ethnographic vocabulary, along with historical and cultural contexts, we also considered social ones.

Through a complex ethnohistorical study of the vocabulary and words and expressions selected for analysis, it turns out that:

1. In Georgia, the naming of terms was based on mentality, economic, environmental knowledge, relevant socio-cultural reality, the consistency or inconsistency of the content of life and traditional features with modernity.
 - 1.1. The content of terms and words and expressions was determined by the way of thinking, attitudes, feelings, and the region's external, self-consciously similar and different external world.
2. They knew about the necessity of passing on the fundamental content that has come down to us through traditions to future generations.
3. They knew about the inhabitants of other historical and ethnographic regions of Georgia, equipping the same terms with different and similar content and the difference based on this.
4. The Georgian language has versatile capabilities.

5. The study of the content conveyed by ethnographic vocabulary, distinguished by its regional and dialectal diversity, further enhances the study of the life and culture of different parts of Georgia.
6. Lexical units and words are presented in alphabetical order.

Keywords: Ethnic-ethnographic; Linguistic-cultural; Regional-dialectal; Spoken language; Ethnographic vocabulary; Way of life; Ethnic-cultural characteristics.

დავით შავიანიძე

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი
ქ. ქუთაისი, აღმაშენებლის ქ. #136, საქართველო
+995599494770, david.shavianidze@atsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0002-0568-1226>

აბსტრაქტი. ცხოვრების წესის მომთხრობი, მრავალფეროვნებით გამორჩეული, ლექსუმური ეთნოგრაფიული ტერმინები, სიტყვა-თქმები შესაბამისი დროის, საზოგადოებრივ-კულტურული მოცემულობით განპირობებული, ერის პოლიტიკური, ეთნიკურ-ყოფითი განვითარებულობის, ენობრივი მდგომარეობის შესწავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა.

საანალიზოდ ავარჩიეთ ლექსუმური ტერმინები, სიტყვა-თქმები: **აკოშიალეზული**; მცირედის მნიშვნელობით გამოყენებული „**ანწყოლი**“; „**ახვანხვა**“ - ერთბაშად შეჭამა; **ბოჩხოტი**; **ბუზუნია** - მსხვილი, დიდი; **გავათავებ**; **გეწათხუნება**; **გვინიხი** - რაღაცის, უმწოდ მოტეხილი ნაწილი; **დამჟავებული** - დაღვინების მნიშვნელობით; „**ზესანდარი**“; **კალრიტი** - თაღლითი; „**კიაპი**“ - ჯიში, ჯილაგი; „**ლოშკინა**“ - პატარა მარხილი, ხის სათრეველა; „**მელისარჩი**“ (რაქაში „**მელაკულტარობა**“, „**მელამელაობა**“; მსგავსია იმერეთში „**ბუზის ულუფა**“, სამეგრელოში „**ყვავის საჯობინარო**“); **მიეტოლება** - გაყვება, ერთად წავლიან; **მოქანჯული**; **მოსამარხე** - კაცი, რომელიც მიცვალებულის სამარხს/საფლავს ჭრის; **რაგადობა**; **საანგელოზო** - ოჯახის შესაწირავი ოჯახის შვილის სახელზე; **საზღვარო**; **სათავსე**; „**სახრო**“ - ხარით დასამუშავებელი ადგილი; „**სირის კუდი**“; **სირინოზი**; **სნაკვი** - თავის მოცლა; **სულიბური**; **ფერგასული** - ადრე გაზაფხული; **ჟღვანთქი**; **ჟღოლი** - დიდი, მსხვილი წნელი; **შავი კუხნა**; **ბატონის წყარო**; **ბატონების გზა ლოცვა**; **ლილიპუტებივით ვართ** - იტყვიან სისხლის შერევის შედეგად გაჩენილ, ფიზიკურად „ნაკლულ“ ადამიანზე; **ყველზე და მჭადზე მისაყოლებელი კაცი**.

აღნიშნულ სიტყვა-თქმათა, ტერმინთა შესახებ არსებული ეთნოგრაფიული მასალა შევუდარეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ჩვენგანვე მოძიებულ, სპეციალურ ლიტერატურაში დაუდასტურებელ, ან უკვე დადასტურებულ მასალებს.

განსხვავებული და მსგავსი ეთნოგრაფიული ლექსიკის კვლევის დროს ისტორიულ-კულტურულთან ერთად გავითვალისწინეთ სოციალური კონტექსტები.

საანალიზოდ არჩეული ლექსიკის, სიტყვა-თქმების კომპლექსურ-ეთნოისტორიული კვლევით ირკვევა:

1. საქართველოში ტერმინთა სახელრქმევას ასაფუძვლებდა მენტალობა, სამეურნეო, გარემოს ცნობა-ცოდნა, შესაბამისი სოციალურ-კულტურული სინამდვილე, ყოფის შინაარსისა და ტრადიციულ თავისებურებათა თანამედროვეობასთან თანხვედრა-არათანხვედრილობა.

- 1.1 ტერმინების და სიტყვა-თქმების შინაარსს განაპირობებდა აზროვნების წესი, დამოკიდებულება-მიდგომები, განცდები, რეგიონის გარე, თვითშეგნებით მსგავს და განსხვავებულ გარე სამყაროსთან შეთანხმებულ ერთობაში ყოფნა.
2. იცოდნენ საფუძველდადებული, ჩვენამდე გადმოცემებით მოსული შინაარსის, მისი თაობებისთვის გადაცემის აუცილებლობის შესახებ.
3. საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა მკვიდრებისაგან, ერთი და იგივე ტერმინების სხვაგვარი და მსგავსი შინაარსით აღჭურვის და ამ საფუძველზე დამდგარი სხვაობის შესახებ.
4. ქართული ენის მრავალმხრივი შესაძლებლობები.
5. კუთხურ-დიალექტური მრავალფეროვნებით გამორჩეული, ეთნოგრაფიული ლექსიკით გადმოცემული შინაარსის შესწავლა უფრო სრულყოფს საქართველოს სხვადასხვა მხარის ყოფი-კულტურული თვალსაზრისით შესწავლას.
6. ლექსიკურ ერთეულებსა და სიტყვა-თქმებს წარმოვადგენთ ანბანის რიგზე.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკურ-ეთნოგრაფიული; ენობრივ-კულტურული; კუთხურ-დიალექტური; სამეტყველო ენა; ეთნოგრაფიული ლექსიკა; ცხოვრების წესი; ეთნიკურ-კულტურული მახასიათებლები.

შესავალი¹. საქართველოს სხვადასხვა მხარის მსგავსი და განსხვავებული შინაარსის, დანიშნულება-ფუნქციის აღმნიშვნელი, დროს გაძლებული ეთნოგრაფიული ლექსიკა და სიტყვა-თქმები მოგვითხრობენ: ეთნოსის მსოფლალქმის, საერთო თვითშეგნებით განვითარებული, სოციალური ურთიერთობების, ენის მრავალმხრივი შესაძლებლობების შესახებ; როგორ ახდენს გავლენას ეთნო-კულტურულ ყოფაზე გეოგრაფიული გარემო; დახასიათებულია მატერიალური, აღწერილი და გადმოცემულია სულიერი, ადათ-წესები, ფსიქოლოგია-მენტალობის მახასიათებლები.

მეთოდი: კვლევაში ძირითადად გამოყენებულია ტრადიციული ეთნოგრაფიული და ისტორიული კვლევის მეთოდები: ისტორიულ-შედარებითი მეთოდი; სისიტემური ანალიზი და განზოგადება-აბსტრაქციის მეთოდები.

მსჯელობა და შედეგები

აკოშიალებული - უფორმოდ აშენებული შენობა უფრო სამეურნეო დანიშნულებისა. იტყვიან მსგავსად აგებულ სახლზეც.

ტერმინი ლექსიკონებში დადასტურებული **გოჯიალას** იდენტურია. „გოჯიალა“ მ. ალავეძესთან ბავშვების სათამაშო სახლი, ხუხულაა; **ხუხულა**^ა თუშურ დიალექტზე ბავშვების ნაშენები სახლია (დლონტი. 1974:160).

კვლევის სიახლე: 1. „გოჯიალათი“ ლექსუმში არ მოიხსენიებენ ბეღელ-მარანს; 2. „ხუხულა“ და „გოჯიალა“ იმერულის ოკრიბულ თქმაში აღნიშნავს არა მხოლოდ ბავშვების, არამედ, ზოგადად, უშნოდ, არამყარად ნაშენებ სახლს. აქაც, „არ უნდა იყოს ბეღელ-მარანი მიხუხულავებული ხუხულა“.

„ანწყოლი“ - ლექსუმში გამოიყენება მცირედის მნიშვნელობით.

¹ ნაშრომში, ვაგრძელებთ, ქართველოლოგიის გარდა სხვა მეცნიერებებისთვის წყარო ეთნოგრაფიული მასალების მრავლად მიწოდების ტრადიციას. აღვნიშნავთ, რომ ჩვენთვის, ეთნოგრაფიული მასალების მოხმობისას მთავარია, ვიცავთ შინაარსობრივ და არა ენობრივ-დიალექტურ სიზუსტეს.

„ახვანხვა“ - ერთბაშად შექამა.

მსგავსი შინაარსის ტერმინია **შესანსვლა** (სინონიმთა ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=17&t=18939>), მეგრული სამეტყველოს **ნტყვილუა** (ქაჯაია. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=33&t=48849>); ფორმობრივად უახლოვდება გურულ „შეხანხვლას“ (ზედგინიძე, 2014:370).

ბოჩხოტი - ხის ის ნაწილი, საიდანაც იწყება ტოტები, ან დიდი ტოტის განშტოება.

ეთნოგრაფიული მასალა:

„ბოჩხოტისგან კეთდება ლობიოს, ღომის მოსარევი **ლაფერთხა**“.

ლექსიკონებში, ტოტებიანი, ბორჯღლიანი ხის, აგრეთვე რქების მნიშვნელობით გვხვდება: „ბოჩოჩხა“ და „ბოჯოჯღი“ (ქეგლ, I. 1950:1116, 1120).

ბუზუნია - მსხვილი, დიდი.

ეთნოგრაფიული მასალები:

„მოუტეხია კაი ბუზუნია პური და ილუკმებოდა“; „ბუზუნია ბოვში ყავს“.

მოხეურში ბუზუნა-ღ ბუზს აღნიშნავს (ლლონტი. 1974:90); ლეჩხუმურში ბუზს „**ბუზულს**“ ეტყვიან.

შედარებისთვის ვიტყვით, რომ ოკრიბულში „**ბუზული**“ გამოიყენება დიდი ბუზის მნიშვნელობით. იტყვიან: „**ლეჩხუმლების ბუზული**“.

გავათავებ, ანუ დავასრულებ, **შესრულებას** იდენტურია (ქეგლ, ტ. VII. 1962:1159) იდენტურია.

ორთავე ტერმინს („გავათავებ“ და „შევასრულე“ ფორმით) გამოიყენებენ ლეჩხუმის მოსაზღვრე იმერეთის ნაწილ ოკრიბაში. მაგ. დღეს გავათავებ, შევასრულე 94 წელი.

ტერმინი საინტერესოა ქართული აღზრდის მეთოდების, ოჯახის დიასახლისისგან მოპოვებული სოციალური როლის კვლევის თვალსაზრისით.

ეთნოგრაფიული მასალა:

„ხვადაგიანი ვარ, ახვლედიანის ოჯახში გათხოვილი. სამოზდათუთხმეტ წელს გავათავებ თებერვალში სახელიანათ. „ვასრულეფ ბაბუასას, არც ჩემ გვარს ვარცხვენ და არც ჩემი შვილების გვარს. წაღმა ვატრიალეფ ჩარხს, ვხერხოფ ტერ-მოყვრის სასიკეთოთ“ (ლეჩხუმი. სანორჩი).

გეწათხუნება - გადარდებს, არ მოგწონს.

ეთნოგრაფიული მასალა:

„შენ რატო გეწათხუნება მა საქმე“.

„წათხი“ მარილიანი, მლაშე წყალია; საბასთან იგივე სიტყვა ბალღამის მნიშვნელობითაა დადასტურებული (ქეგლ, ტ. VIII. 1964:831).

შდრ.: იმერული გამოთქმა, „ფასი მემწუთხა და არ ვიყიდე“, ნიშნავს ფასი არ მომეწონას.

გვინიხი - რაღაცის, უშნოდ მოტეხილი ნაწილი.

ეთნოგრაფიული მასალა:

„მოგვნიხა ყველი და ჩაკბიჩა“.

კვინიხის მქონე, უშნოდ გამოწეულს ჰქვია კვინიხიანი (ქეგლ, ტ. IV. 1955:1178).

„გვინიხიც“ და „კვინიხიც“ ოკრიბულში გამოიყენება ე.წ. „**ქვა მარილის**“ ნატეხის სახელად.

დამჟავებული - დაღვინების მნიშვნელობით დავადასტურეთ ლეჩხუმის სოფელ საჩხეურში.

ეთნოგრაფიული მასალა:

„ახალი ღვინოა, წლევეანდელი, თუმცა კაი დამჟავებულია, კაია უკვე“.

ღვინის ვარგისიანობა მისი მჟავიანობის მიხედვით (ქეგლ. ტ. V. 1958:1116-1117) განისაზღვრება. თუმცა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში დაღვინების აღმნიშვნელ ტერმინად გვხვდება გამოთქმა „ღვინოს სიმჟავე აქვს“, და არა „დამჟავებული“.

„ზესანდარი“ - მარხილზე სიგრძით გადებული მრგვალი ჯოხები.

მოუტანია - მოუყვანია. მოუგია (ორბელი).

ეთნოგრაფიული მასალა:

„დაკარქული ღორი გამოჩთა. გოჭები მოუტანია ტყეში. გოჭები წამევიყვანეთ, მარა ღორი ვერაფრით დევიყოლიეთ“.

ლექსიკონში ტერმინი „მოტანილი“ ახსნილია, როგორც მოცემა, მოსვლა, რაიმეში მოქცევა, მოყოლება, რამაც, ვინც მოიტანა, მოახლოებული, მოღწეული (ქეგლ. 1958:919).

ტერმინის კვლევა საინტერესოა ხალხურ მეტყველებაში, რა ჯგუფის სახელებთან დაკავშირებით არც იშვიადად გამოყენებადი ფორმის თვალსაზრისით. მაგ. „ძროხამ ხბო მოიყვანა“...

კალრიტი - გარდა ჩვენ მიერ დადასტურებული თაღლითის მნიშვნელობისა, ლეჩხუმურში ხმელ-ხმელი, კუმატი ადამიანის მნიშვნელობით გამოიყენება (ქკოსკ. 1974:276).

ეთნოგრაფიული მასალები:

„დიდი კალრიტი კაცია, ვერ ენდობი ფეხნაბიჯზე“.

თუ მივიღებთ, რომ ჩაღმა თუშურის „დაკიაპება“ დაჯეჯილება, ყლორტის გამოღება, ადამიანურ გენსაც შეიძლება მისადაგოს (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=56&t=68405>), მაშინ ლეჩხუმურის ჯიშის და ჯილაგის მნიშვნელობით გამოყენებული ტერმინი „კიაპი“ თუშურის იდენტურია. მსგავსია, გვარის განაყოფის, შთამოვალაობის აღმნიშვნელი ოკრიბული „ნაკიაპიც“.

„კიაპის“ მნიშვნელობით გამოიყენება ლეჩხუმურში, „ერთ საქვაზე ნამყოფი“.

„ლოშკინა“ - პატარა მარხილი, ხის სათრეველია ლეჩხუმში.

ხალხური ტრანსპორტის ეს სახეობა მარხილის სახელით გვხვდება ქართლში, იმერეთში, კახეთსა და გურიაში; ლეკ მარხილია ზემო აჭარაში; თუში ჰქვია მთიულეთში, ფშავსა და თუშეთში; ლაჩქამია მთიულეთსა და ქსნის ხეობაში; სინონიმურია მანჯაკი და ა.შ. (ქმკელ, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=39&t=2802>).

მელისარჩივი - მარტის თვის შავი ორშაბათი.

ეთნოგრაფიული მასალა:

„მარტის თვეში, მარხვის შავ ორშაფათს გამოუტეხავდნენ კვერცხს თავს, ჩაყრიდნენ პურს, ხორცს. წეიდებდნენ კვერცხს და ლაფერთხას და ღელეში გადაგდებდნენ მელა არ შემოვაო“ (ნასპერი).

„მელისარჩივის“ მსგავსია იგივე ლეჩხუმური **მელისარჩი**. გაზაფხულზე თედორობის წინა დღეს ოჯახის წევრები თითო ლუკმას ჩადებენ კვერცხში, შეულოცავენ და გადაგდებენ ტყის მხარეს, ან გამდინარე წყალში.

იგივე რიტუალს იმერეთში **ბუზის ულუფა** ჰქვია, ხოლო სამეგრელოში - **ყვავის საჯობინარო** (გორჯგინ ყვარია).

„მელიას სარჩოს“ მომზადების მსგავსი, წინარექრისტიანული წეს-ჩვეულება გვხვდება ლეჩხუმის მოსაზღვრე რაჭაში. საქართველოს ამ მხარეში აღნიშნული რიტუალური წესი „მოხერხებული“, „ხრიკიანი“, „მელაკულტარობის“, „მელამელაობის“ სახელებით იხსენიება.

ეთნოგრაფიული მასალა:

დიდმარხვის „შენდობის კვირაში“, ქრისტიანული წესით შენდობის თხოვის პარალელურად რაჭაში „მელამელაობას“ აღნიშნავენ. სოფელი მიდის ტყეში, მიაქვთ

„ბოხჩუანები“, ოთხკუთხედი ფორმის ლობიანი, ან ხაჭაპური, ატეხავენ კუთხეებს და ისვრიან და ამბობენ: „მელა, მელა, კურკუმელა, წინ მამალი, უკან მელა“, ან „ეს მელას, ეს ტურას, ეს მგელს“. ასე ცდილობდნენ ცხოველების დაპურებას, რათა მათ შინაურ ფრინველებს მშვიდად არსებობის უფლება მოუპოვონ. რაჭველები უფროსები კარგი ფქვილით გამომცხვარ „ბოხჩუანებს“, ბავშვებს საკეცურით გარეკავდნენ სოფლის განაპირას ტყეში. ბავშვები ტყეში სხვადასხვა მხარეს „ბოხჩუანების“ ნატეხებს ყრიდნენ სიტყვებით: „მელა-მელა კურკუმელა, წინ ქათამი, უკან მელა, ჩვენ ქათამსა დიდი კვერცხი, სხვის ქათამსა დიდი მელა“ (მთხრობელები დავით ჯაფარიძე და გაგა მაისურაძე. რაჭა. სოფელი სხანარი. 2025).

ოთხკუთხა პატარა ხაჭაპურის **ბოხჩუან**-ი იდენტურია კვახის თესლჩართული ხაჭაპური **ბოღჩუნისა**

(<https://visualanthropology.iliauni.edu.ge/ethno/index.php/%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%A9%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98>. ბერიძე. 1912 <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=55&t=446>).

საეკლესიო წიგნში „კურთხევენი“ დასტურდება წესი, „რომელიც აღესრულების ყანისა, ვენახისა და ბოსტანსა ზედა“. ხალხი თითქოს ერთგვარ ხარკს უხდის მის შემწუხებელს, ხოლო ეკლესია ღვთის სახელს უპირისპირებს ბოროტსა და ადამიანისთვის ავისმქმნელს (ქართველური ონომასტიკა X. 2018:229-233).

მასალა საინტერესოა ადამიანისგან ცხოვრებით კმაყოფილების, ფსიქოლოგია-ღირებულებებით, საჭიროებებით განსაზღვრული არჩევანის, ქცევის კვლევის თვალსაზრისით.

ეთნოგრაფიული მასალები:

ბიძაშვილის „სიყვარულიანი თხოვნა“, რომ ახალგაზრდებისგან („მოზერები“) მიღებულ იქნა და შეუსვამთ კიდევაც „ხელიანები“ და „ყანწები“, „მაყართან“, სასახელოდ, თან წესიანად, ზღვარგადაუსვლელად“. თუმცა იგივე დაცინვად მიუღიათ, „მენშევიკი“ (აქ, ხასიათის, ბუნების აღნიშვნის თვალსაზრით - ხაზი ჩვენია) თანასოფელისგან და ახირებიან კიდევაც მას.

„კვანჩხი“ - მთაში წასული მწყემსების ერთგვარი, საწყაოს და საკვები, კერძოდ მაწვნის მისართმევი ჭურჭელის შესახებ მოდიებული მასალები საინტერესოა ეთნოეკონომიკის, კერძოდ დამატებითი შრომით ნაშოვნი შემოსავლიდან აუცილებელი „ბუნებრივი“ ხარჯის კვლევის თვალსაზრისით: „კვანჩხი“ პრაქტიკულიც იყო, გადასატანად მარტივი, „შესაბამისად ცხოვრების მასწავლებელი საშენო და საწყაო სასხვისოდ“; „მთაში ბლომად უნდა დაგეგროვებინა გასაყიდი, გასაცვლელი. ჭამადი უნდა გქონოდა იმდენი, რომ ოჯახი გყოლოდა ნოყიერად.“ (ზუბი. 2025წ).

მიეტოლება - გაყვება, ერთად წავლიან (ორბელი).

ეთნოგრაფიული მასალა:

„მურო, გამოუშვი საქონელი და მიეტოლება ჩემსას“.

„მიატოლებს“, „მიეტოლება“, ზმნათა მოქმედებისაა და მიზომებას აღნიშნავს (ქეგ. 1958:442).

მოქანჯული - მოუთავებელი.

ეთნოგრაფიული მასალა:

„დატოვა ე საქმეც ასე მოქანჯული“.

აწსუ, ქართველოლოგიის კვლევითი ცენტრის ფონდებში დაცულ იმერულ ტექსტებში ტერმინი „მოქანჯული“ გვხვდება უსწორმასწორო, მონგრეულის მნიშვნელობით; ოკრიბულ თქ-მაში „მოქანჯულს“ იტყვიან დიდი, ფორმის და „მხრებში უშნოდ მოხრილ“ ადამიანზე.

რაჭულ დიალექტში მსგავს და მხრებში მოხრილ ადამიანს, სიდიდის განურჩევლად „**მოლუსკულს**“ ეტყვიან.

მოსამარხე - კაცი, რომელიც მიცვალებულის სამარხს/საფლავს ჭრის (სოფ. აღვი. 2018). მიცვალებულს მიწას ჭირისუფალი მიაყრის და არა „მოსამარხე“.

საქართველოს სხვა კუთხეებში გამოყენება ტერმინი „მესაფლავე“. „მესაფლავე“, იმერეთში „მოსამარე“/„მესამარე“ მიცვალებულისთვის მიწის მიმყრელიცაა.

„მოსამარხე“, „მესაფლავე“ „მადლის კაცების“ რიგის ტერმინია. „მადლის კაციაო“ იტყვიან ადიგენის თემის სოფლებში მეზობელ-ნათესავისთვის, ან ფინანსურ-მატერიალურად, ან სხვა სახის დახმარების გამწევ ადამიანებზე, რომელთაც წესად აქვთ აღნიშნული სახით, შრომით, ან სხვა, ნებისმიერი კომბინაციით მიღებული სიკეთით სხვათა სარგებლობა.

„მადლის კაცობა“ საქართველოში შინამეურნეობების დონეზე არსებული ურთიერთობის ამსახველი ტერმინი იყო.

„რაგადობა“ - ლექსიკონებში ახსნილია, როგორც ლაყბობა და ქალების ლაპარაკი (ლექსიკონი ქართული. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=8&t=dict&w1=%E1%83%A0&w2=%E1%83%99>). ჩვენ მიერ, ზუბში მოძიებული მასალებით კი „ლაყბობის“ აღმნიშვნელია, მაგრამ სქესი არ განირჩევა.

საანგელოზო - ოჯახის შესაწირავი ოჯახის შვილის სახელზე.

ეთნოგრაფიული მასალა:

„საანგელოზო მამალს გოგოსაც შემოავლებენ და ბიჭსაც. სახლში რამდენი შვილი ჰყავდა ყველას. ანუ, შვილი ანგელოზია და შესაწირს სწირავ მის სახელზე“ (ღვინიშვილი).

საზღვარო - სალიტერატუროს ეს დიალექტური ვარიანტი ლეჩხუმში გამოიყენება მოსაზღვრე რეგიონთან დაკავშირებით: „საზღვაროდან (იგულისხმება იმერეთი - ხაზი ჩვენია) მიეყვანა ქალი“; „საზღვაროში, იმერეთში მივდივარ“.

ლეჩხუმური საზღვაროს იდენტურია ჯავახურის **კორღანი, ყორღანი** (ჯავახური ლექსიკონი. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=28&t=11066>), გურულის **თაღარა** (გურული ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=50&t=2146>).

საკუთარი მიწის აღმნიშვნელი ლეჩხუმური **სათავსე** („შენ სათავსეში ღორები გადასულა“), „სათავისოს“ იდენტურია (ქეგელი 1960:602).

„**სახრო**“ - „სახარედან“ მომდინარეობს. ხარით დასამუშავებელი ადგილი იყო. დღეს, „როცა მიწა აღარვის უნდა“, ტერმინი მხოლოდ სახლთან ახლოს არსებული ნაკვეთის აღმნიშვნელია.

„**სირის კუდი**“ - საზეიმო სუფრის გაგრძელება. მეზობელის მიერ, „მასთან ღამის თევით“ დარჩენილი, ქორწილის სტუმრის პატივსაცემად გაწყობილ სუფრას უწოდებდნენ „სირის კუდს“. თანამედროვეობაში, როცა გადაადგილება არ ჭირს და სტუმრები ქორწილის დღესვე ბრუნდებიან სახლში, „სირის კუდი“ ქორწილის „**სირინოზივით სუფრის**“ დასრულების შემდეგ ჭიშკართან გაშლილი პატარა, სტუმრის გზის დასალოცი „**სამადლობელო**“, ერთგვარად „**სმაში გამოცდის**“ სუფრაცაა.

„სირი“ პატარა ჩიტია (<http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=44&t=12948>); **სირინოზი** „ქალაქურ ლექსიკონში“ ტკბილ და მომჯადოებელხმიანი თევზქალაა (გრიშაშვილი. 1997. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=30&t=7607>); სადილის უკანასკნელი თავის, ყელის ჩასაკოვლოზინებელი, სასიამოვნო და ტკბილი რამის აღმნიშვნელად ლექსიკონებში გვხვდება „**ჩაროზი**“ (გრიშაშვილი. 1997. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=30&t=7607>).

ზოგადად ქართული და ლეჩხუმური სუფრაც „სირინოზივით ლამაზურთიერთობებიანი, ტკბილ ხმიანი, კეთილად მიმდინარე, ეტიკეტით და ღირსებით, მრავალხმიანი სიმღერით სავსეა“.

„სნაკვი“ ლეჩხუმურში ნიშნავს „თავის მოცლას“.

უნდა მომდინარეობდეს პურის თავთავის საკრეფი იარაღიდან „შნაკვი“ (ქმკელ 2012:495).

„ვაი შენ და „სნაკვი“, ერთგვარი წყევლის ფორმულაა იმერულში.

სულიპური - საკურთხე დასადები კვერი, სულის საზრდო.

„სულიპურის“ დიალექტური ფორმებია **კვერა**, **კვეკვერა** და **კოკორი**; სვანური სამეტყველო ენის ლემზირი, საწესო პური (<https://dlab.ug.edu.ge/synonym/detail/0/>, <https://visualanthropology.iliauni.edu.ge/ethno/index.php/>).

გარდა დიალექტური ფორმისა „სულიპურში“ საინტერესოა ქართველთა მენტალური მახასიათებელი.

ეთნოგრაფიული მასალა:

„საკურთხე მარხვაში „მარხულის „სულიპური“ უნდა გააკეთო აუცილებლად, ხსნილში ყველიანი. პურია მთავარი, ქართველისთვის საზრდოა სულის ჯერ და მერე ხორცის. ჩვენში პურს მარტო არ ჭამენ. პურის გატეხვით ერთად ეზიარებიან, ერთმანეთს აზიარებელ ღმერთთან, მეგობრდებიან“ (ნაკურალეში. 2017).

ფერგასული - ადრე გაზაფხული

ეთნოგრაფიული მასალა:

„ნადირობისთვის სეზონს ჰქონდა მნიშვნელობა. ფერგასულზე არ გევიდოდით არაფრით სანადიროთ“ (ღვირიში).

„ფერგასული“ სალიტერატურო **ფერშეცვლილის** (ქეგლ, ტ. VII:75) კუთხური ვარიანტი.

საქართველოს თითქმის ყველა თემში ითქმის „ფერშეცვლილი“ ადამიანზე, ბუნებრივ მოვლენაზე და ა.შ. ადამიანთან მიმართებით იგი ხასიათ, ბუნებაშეცვლილს აღნიშნავს. მსგავსი მოცემულობის აღსანიშნავად იმერეთში გამოიყენებენ „**წირშეცვლილს**“.

ჟღვანთქი – ლექსიკონებში დაუდასტურებელი ეს ტერმინი, ლეჩხუმში წყლიანი ღვინოს აღნიშნავს: „მე უთხარი, რათ მინდა შენი ჟღვანთქი ღვინო თქვა“.

იგივე მნიშვნელობით დავადასტურეთ გურიაში.

ჟღოლი - დიდი, მსხვილი წნელი.

დაბერტყვის მნიშვნელობით გვხვდება ზმნა **დაჟღოლა**; გურული დიალექტის **ჟღვერთის** სინონიმი **შხვერთი** იმერულში, გურულსა და აჭარულში ნედლე წნელზე ართმეული კანიცაა. **ჟღვართუნი** იგივე გურულში, მოქნეული წნელის რამეზე გამეტებით ცემა (ქვთსკ, 1974:638).

შავი კუხნა - ცეცხლის ალიდან გაშავებული ოთახი ლეჩხუმში (ორბელი), სადაც ბოლავდნენ „ვიჩინას“, იყო შუა ცეცხლი და თონე.

ბატონის წყარო - სოციალური მნიშვნელობის აღმნიშვნელ ტერმინად ქცეული ტოპონიმი.

ეთნოგრაფიული მასალა:

„ვიღაც გოლეითიანი, გამვლელ-გამომვლელს წყაროთი სარგებლობისას ახდევინებდაო. ემეტებოდა ალბათ ყველას და ამიტომ „ბატონის წყარო“. ვინ გოლეითიანი ისიც არ ვიცით“.

ბატონების გზა ლოცვა - მეცნიერული მედიცინის მიერ ინფექციურ დაავადებად წოდებული „ბატონების“ განკურნების („**კეთილად გადაბრძანების**“) საშუალებად ხალხს ლოცვა ჰქონდა „**მომარჯვებული**“, გეტყვიან ლეჩხუმლები (სოფ. სანორჩი).

ეთნოგრაფიულიმასალა:

„ნიგოზს წვავდა დედაჩემი, „ტაბლას“ უმახოდა. ბატონებზე მაგიდას გააწყობდნენ დილით. აკარდიონით იმღერებდნენ: „კეთილად მობრძანდით დაბრძანდით“. ჩოქებით დადიოდა. წესიერად უნდა მოქცეოდი, „სისხლი არ უნდა გაგედინა“ ოჯახში არაფრისთვისა, ღვინო არ უნდა დაგელია, „ბატონებს წყენსო“. ბატონების გზაა ლოცვაა და მეტანიებს აკეთებდნენ. შესაწირავიც იცოდნენ. გადააბრძანდნენ ფანდურით, იმღერებდნენ, მაშინაც „უბოდიშებდნენ“.

ლილიპუტებივით ვართ - იტყვიან სისხლის შერევის შედეგად გაჩენილ „ნაკლულ“ ადამიანზე.

„ნაკლული“, სისხლის შერევის შედეგად ფიზიკური, თუ გონითი, ან ორთავე ნაკლით დაბადებულ ადამიანს ოკრიბაში „აიბიანს“ ეტყვიან.

მდრ., ლილიპუტი - არანორმალურად პატარა ტანის ადამიანი. ითქმის ძალიან პატარა ზომის საგანზედაც (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=22825>).

ყველზე და მჭადზე მისაყოლებელი კაცი - იტყვიან კარგ, სხვისთვის მხარში მდგომ, კეთილსა და ჭკვიან, „მარანში ღვინო და სუფრაგამოუღლეველ“ კაცზე (სოფელი დერჩი).

დასკვნა:

სალიტერატურო-მწიგნობრული ენის საზრდო ეთნოგრაფიული ტერმინები და სიტყვა-თქმები არა მხოლოდ ისტორიული, თანამედროვე ცნობიერების აღმწერიცაა. იგი ასახავს ადამიანის, ადამიანთა საზოგადოების დამოკიდებულებას გარემომცველი სინამდვილისა და საკუთარი თავისადმი.

ენის, ყოფითი რეალობისა და კულტურის, წარსულის უძველესი ფონდის კუთვნილება ლექსიკური ერთეულებით ირკვევა იმ გარემოების შესახებ, რომლის მიხედვითაც შენი სოციალურად, საზოგადოების ყოფითობასთან დიალოგი კულტურით და შესაბამისი დროის ცნობიერებით განსაზღვრულია.

გამოყენებული ლიტერატურა

დლონტი, ალ. (1974). *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

გრიშაშვილი, იოსებ. (1997). *ქალაქური ლექსიკონი*: (საარქივო მასალა)/[გამოსაც. მოამზადა რუსუდან კუსრაშვილმა]. თბილისი: „სამშობლო“. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=30&t=7607> (09.03.2025).

გურული ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=50&t=2146>.

ზდგინიძე, გ. (2014). *ჯავახური ლექსიკონი*. თბილისი: „საუნჯე“.

ქართველური ონომასტიკა X. (2018). ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. თბილისი: „თსუ-ს გამომცემლობა“.

ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი (2013). საქართველოს ეროვნული მუზეუმი. თბილისი: „მერიდიანი“.

რუსულ-ქართული ლექსიკონი. (1983). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი: „საბჭ. საქართველო“.

- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1955). არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. IV. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1958).. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. V. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1960). არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VI. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1962). არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VII. თბილისი: საქართველოს „სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1964). არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VIII. თბილისი:
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1974). არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. I. თბილისი: საქართველოს „სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- ქართული ენის ციფრული ლაბორატორია. სინონიმთა ლექსიკონი, <https://dlab.ug.edu.ge/synonym/aboutDictionary> (09.03.2025).
- ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. (2012). რედაქტორი, რ. მეტრეველი. თბილისი: „მერიდიანი“.
- ქაჯაია, ო. (2001). *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, ტომი მე-3. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.
- ძველი ქართული ენის ლექსიკონი
<http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=44&t=12948>
 ჯავახური ლექსიკონი. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=28&t=11066>.

REFERENCES

- ghlont'i, al. (1974). kartul k'ilo-tkmata sit'qvis k'ona. tbilisi: gamomtsemloba „ganatleba“.
- grishashvili, ioseb. (1997). kalakuri leksik'oni: (saarkivo masala)/[gamosats. moamzada rusudan k'usrashvilma]. tbilisi: „samshoblo“. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=30&t=7607> (09.03.2025).
- guruli leksik'oni <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=50&t=2146>.
- zdginidze, g. (2014). javakhuri leksik'oni. tbilisi: „saunje“.
- kartveluri onomast'ik'a X. (2018). iv. javakhishvilis tbilisis sakhelmts'ipo universit'et'i, humanit'arul metsnierebata pak'ult'et'i, kartuli enis inst'it'ut'tan arsebuli sametsniero-k'vleviti tsent'ri. tbilisi: „tsu-s gamomtsemloba“.
- .kartuli mat'erialuri k'ult'uris etnograpiuli leksik'oni (2013). sakartvelos erovnuli muzeumi. tbilisi: „meridiani“.
- rusul-kartuli leksik'oni. (1983). sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis enatmetsnerebis inst'it'ut'i. tbilisi: „sabch' sakartvelo“.
- kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni. (1955). arn. chikobavas saerto redaktsiit. t'. IV. tbilisi: „sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba“.
- kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni. (1958).. arn. chikobavas saerto redaktsiit. t'. V tbilisi: „sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba“.
- kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni. (1960). arn. chikobavas saerto redaktsiit. t'. VI. tbilisi: „sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba“.

- kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni. (1962). arn. chikobavas saerto redaktsiit, t'.VII. tbilisi: sakartvelos „ssr metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba“.
- kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni. (1964). arn. chikobavas saerto redaktsiit. t'. VIII. tbilisi:
- kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni. (1974). arn. chikobavas saerto redaktsiit. t'. I. tbilisi: sakartvelos „ssr metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba“.
- kartuli enis tsipruli laborat'oria. sinonimta leksik'oni, <https://dlab.ug.edu.ge/synonym/aboutDictionary> (09.03.2025).
- kartuli mat'rialuri k'ult'uris etnograpiuli leksik'oni. (2012). redakt'ori, r. met'reveli. tbilisi: „meridiani“.
- kajaia, o. (2001). megrul-kartuli leksik'oni, t'omi me-3. tbilisi: gamomtsemloba „nek'eri“.
- dzveli kartuli enis leksik'oni <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=44&t=12948>
- javakhuri leksik'oni. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=28&t=11066>).